


საქართველოს



იმისთანა წმინდა საღმრთო,
ბრძოლით ბეჭდული სიფიქსა,
ფიქრით და ჭიჭილით ბრძოლის
გაფანა ყველა უკადრისდაზღ
უსამაგლესია.

დაარსებულია
1918 წელს.

ოთხშაბათი, **16** დეკემბერი, 2015 წელი.
№236 (7881)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.

პოლიტიკურ პარტიებს ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 12 მილიონ ლარზე მეტი გამოეყოფათ, რაც სამჯერ აღემატება აღმასრულებელი ხელისუფლების ზედა დონის (მთავრობა, მინისტრები და მათი მოადგილეები) ხელფასების წლიურ ფონდს, თავისი პრემიებითა და ე.წ. დანაშაულებით.

ხათუნა ლაბაშიძე:
ასეთი „ბომბები“ ხელისუფლებას არჩევნებამდე ბევრჯერ დასვდება **5**

ჯუმბერ ჟირკალიძე:
ივანიშვილის ბარეზე „მცნებას“ ძალიან გაუჭირდება პოზიციების შენარჩუნება! **3**

კიევის სასამართლომ სააკაშვილს ოლიგარქის სილინსაშვილს პრ პაპტია

უკრაინელმა ოლიგარქმა იგორ კოლომოისკიმ ოდესის გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სასამართლოში შეტანილი სარჩელი მოიგო. ამის შესახებ უკრაინული მედია იტყობინება. კიევის პოლოლსკის რაიონულმა სასამართლომ, მიმდინარე წლის 19 ივლისს, სააკაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ კოლომოისკი გადასახადების გადახდას თავს არიდებს და კონტრაბანდითაა დაკავებული, ცრუ ინფორმაციად ცნო. სასამართლოს გადაწყვეტილებით, უკრაინულმა ტელეკომპანია „Судия 1+1“-მა, რომლის ეთერშიც სააკაშვილმა აღნიშნული განცხადება გააკეთა, სასამართლოს გადაწყვეტილება ეთერში უნდა გაუშვას.

„ასეთი შეხლა-შემოსლა უკრაინას არცხვენს“

კიევში გრძელდება ურთიერთობათა გარკვევა მმართველი პოლიტიკური ძალების წარმომადგენელთა შორის. ახალი სკანდალი მოხდა უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრ არსენი ავაქოვსა და ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილს შორის. პოლიტიკოსებმა ერთმანეთს ბრალი დასდეს ქურდობაში, რის შემდეგაც მინისტრმა გუბერნატორს წყალი შეასხა. კონფლიქტში ჩაერთო უკრაინის პრემიერი არსენი იაცენიუკი: მან ბატონ სააკაშვილს „გასტროლიორი“ უწოდა და მოითხოვა „გათერიოს უკრაინიდან“.

06. 8 33

ორმაგი სტანდარტი 4

რუსეთ-თურქეთის დაკავლობა არავითარ სიკეთეს არ მოგვიტანს რუსეთის მხრიდან საფრთხეა სულ უფრო იზრდება და ეს საგანგაშო ხდება 5

„აპრიკალთ ასაფთხებელი საშუალებები“!!!

ამ სათაურით სოციალურ ქსელებში პეტიცია ვრცელდება. მისი ავტორები საქართველოს პარლამენტს, მთავრობასა და პრეზიდენტს მიმართავენ.

„მოვითხოვთ, აიკრძალოს ერთი შესვლით უწყინარი, ე.წ. სათამაშო ასაფთხებელი საშუალებებით ვაჭრობა და მათი გამოყენება. აკრძალვა დარეგულირდეს შესაბამისი კანონის მუხლით, ან საგანგებო განკარგულებით, არ იყოს ერთჯერადი და, სამართალდამრღვევი დაისაჯოს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მიმდინარე წლის და, ზოგადად, ბოლო წლების განმავლობაში ე.წ. „ბომბორკები“ გახდა ძალიან ბევრი ტრაგედიის მიზეზი.

აღნიშნული გასართობი საშუალებებით დასახიჩრდა არაერთი, სხვადასხვა ასაკის პიროვნება. უკონტროლო, გართობის მიზნით აფეთქებები აღიზიანებს უამრავი ბავშვის და შეუძლოდ მყოფი, ზრდასრული ადამიანების ფიქიკას. სამწუხაროდ, სშირად ფიქსირდება სადიზმის გამოვლინების შემთხვევებიც, რა დროსაც ბავშვების მავნე მიდრეკილებების მსხვერპლი ხდებიან ცხოველები. სშირია მათი წამების ფაქტები.

აღნიშნული, სრულიად საკმარისი მიზეზების გამო მოვითხოვთ, ასაფთხებელი საშუალებები უკიდურეს შემთხვევაში გამოიყენონ მხოლოდ ახალი წლის ღამით. სხვა შემთხვევაში ჩაითვალოს საზოგადოებრივი წესრიგის, მშვიდობიანი მოქალაქეებისთვის სიმშვიდის და მათი უფლებების დარღვევა“, – ნათქვამია პეტიციის ტექსტში.

როგორც ცნობილია, გუშინ მცირეწლოვანმა ბავშვმა ბურბუშელა „მინსტერში“ საჩუქრად ჩადებული პიროტექნიკა გადაყლაპა. ის ია შვილის კლინიკაში მოათავსეს. ექიმების თქმით, ბავშვს პიროტექნიკა რომ დაეღეჭა, პირში აუფეთქდებოდა.

ჩინებული ფიზიკოსი, პარაოლიმპიკი პირველად, ღირსეული გამაულიშვილი

აკადემიკოსი ალბერტ თამხალიძე **85**

6 თვე - 60 ლარი

გამოინერა 2016 წლის პირველი ნახევრის 120 ნომერი რედაქციაშივე შეღავათიანად

ჩვენი მისამართია ქ. თბილისი, ი. ბაჩაშკის 7. **ხელმოწერის ინდექსი 66434**

ჭიდაობა

კვარცხლბეკზე - ნახნობი სახე(ლ)ები

აჭარის დედაქალაქში დამთავრდა 23-წლამდელ ფალანგთა საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობებში. მართალია, ხალიჩაზე ახალი სახეებიც გამოჩნდნენ, მაგრამ ელიტაში უფრო მეტად ადგილები ფავორიტებმა შეინარჩუნეს.

ასაკში ევროპული „ვერცხლ-ბრინჯაოს“ მფლობელი ომარ გურჯიძე (6:2; 2:2), ფინალში კი კახა ელბაქიძეს მოუგო (3:0; 2:2). ჭიდაობის ორივე სახეობაში დაძაბული პაექრობების შემდეგ გამოვლენილ ჩემპიონთა და პრიზიორთა ვინაობას კვარცხლბეკიდან შეიტყობთ:



ერთ 16 წლის სამტრედიელი ივერიკო ფულაყიძე (65 კგ). თავისუფალ ჭიდაობაში იგი ჭაბუკთა შორის ევროპის წლებანდელი ჩემპიონია, შარშან კი მსგავს ტურნირსა და ჩინეთში გამართულ მსოფლიოს ახალგაზრდობის ოლიმპიურ თამაშებზე მესამე იყო. ამჯერად ფულაყიძე ბევრად უფროს მეტოქეებს დაუპირისპირდა და წარმატებითაც შეძლო დაამარცხა ლაშა მათიაშვილი (10:0), ჭაბუკებში ევროპისა და მსოფლიოს მესამე პრიზიორი შმაგი თოდუა (5:2; 3:1), ამავე

თავისუფალი ჭიდაობა 57 კგ. 1. ბექა ბუჯიაშვილი (გორი), 2. ლევან მურცხვალიძე (რუსთავი), 3. რამაზ დარჩიძე (აჭარა), თეიმურაზ ვანიშვილი (გორი). 61 კგ. 1. შოთა ფარტენაძე (აჭარა), 2. გიორგი რევაზიშვილი (მცხეთა), 3. შალვა ხუციშვილი (გორი), გაიოზ გონგაძე (საშური). 65 კგ. 1. ივერიკო ფულაყიძე (სამტრედიე), 2. კახა ელბაქიძე (გორი), 3. შმაგი თოდუა (სამტრედიე), გიორგი ბრეგაძე (ქუთაისი). 70 კგ. 1. ავთანდილ კენჭაძე (ამბროლაური), 2. დავით ბუზიაშვილი (საშური), 3. იმედა ფანცულაია (სამტრედიე), მირზა სხულუხია (ქუთაისი).

74 კგ. 1. ტარიელ გაფრინდაშვილი (თბილისი), 2. ლაშა გიგაშვილი (ხარაგაული), 3. ნიკა კენჭაძე (ამბროლაური), ოლეგ ფუტყარაძე (აჭარა). 86 კგ. 1. ირაკლი მნითური (თბილისი), 2. ტარზან მაისურაძე (ყაზბეგი), 3. ზაურ ბერაძე (ხარაგაული), რამაზ სარებაშვილი (ყვარელი), მეტი სიმონია (ქუთაისი). 97 კგ. 1. გივი მაჭარაშვილი (მცხეთა), 2. როლანდ ანდრიაძე (ხონი), 3. ბექა როჭიკაშვილი (საგარეჯო), რამაზ სარებაშვილი (ყვარელი). 125 კგ. 1. ზურაბ ურთაშვილი (მცხეთა), 2. ვაჟა ომარაშვილი (მცხეთა), 3. ლაშა ჯელაძე (ამბროლაური), ალექსი ყორყოლიანი (ქუთაისი). ბერძნულ-რომაული ჭიდაობა 59 კგ. 1. გიზო მელაძე, 2. რამაზ სურმანიძე, 3. ბაჩანა ფუტყარაძე, დავით მარკოიძე (ყველა - აჭარა). 66 კგ. 1. შმაგი ბოლქვაძე (აჭარა), 2. თორნიკე ჯანგაძე (ქუთაისი), 3. ხვიჩა ჭითავა (სენაკი), ამირან შავაძე (აჭარა). 71 კგ. 1. რამაზ ზოიძე (აჭარა), 2. ბაკურ გოგოლი (სენაკი), 3. ვლადიმერ შავაძე (აჭარა), გიორგი ხუჭუა (ოზურგეთი). 75 კგ. 1. გელა ბოლქვაძე (აჭარა), 2. მინდია ბოლქვაძე (აჭარა), 3. დემურ ქავთარაძე (გარდაბანი), გულივერ კვერელიძე (ოზურგეთი). 80 კგ. 1. ლაშა გობაძე (აჭარა), 2. ნიკა გავაშელი (თბილისი), 3. ალექსანდრე გუმბერიძე (ქუთაისი), ნუკრი შავაძე (აჭარა). 85 კგ. 1. რობერტ ქობიაშვილი (ნორი), 2. შალვა ხაჩიძე (თბილისი), 3. ზუზუა აბრამაშვილი (გარდაბანი), გურამ ხეცურიაიანი (ქუთაისი). 98 კგ. 1. კუკური კორცხალია (თბილისი), 2. ნიკოლოზ კახელაშვილი (თბილისი), 3. ნუკრი ფერსელიძე, გიგა ქოქოლაძე (ორივე - აჭარა). 130 კგ. 1. იაკობ ქაჯაია (წყალტუბო), 2. ბექა კანდელაკი (თბილისი), 3. სულხან ბუიძე (ქუთაისი), მამუკა დარჩია (ოზურგეთი).

ფარიკაობა

რეიტინგი გაიუმჯობესა

მსოფლიოს საუკეთესო მოხმალავეები მონდომებით ემზადებიან 2016 წლის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო შეჯიბრებებისთვის. მსგავს ტურნირს - მსოფლიო გრანპრის - ბოსტონმა (აშშ) უმასპინძლა. საბრიზო ადგილებს სხვადასხვა ქვეყნის 163 მოფარიკავე ეცილებოდა ერთმანეთს, მათ შორის - ქუთაისელი ძმები სანდრო და ბექა ბაზაძეები.



სანდრომ ჯგუფში ექვსივე მეტოქეს სძლია ორი მსოფლიოს ჩემპიონის - რუსი ვენიამინ რეშეტნიკოვისა (5:2) და უნგრელი კსანად გემშის (5:3) ჩათვლით, ხოლო დანარჩენ ორთაბრძოლაში დაამარცხა - ჰექტორ დევიდ კასტრო ლინარესი (დომინიკის რესპუბლიკა, 5:2), ტრიტან ლორენსი (საფრანგეთი, 5:0), ჯიპად კაბაი (კანადა, 5:2), უოფრეი ლოსი (აშშ, 5:0) და პლეი ოფში გავიდა, იქ კი პირველსავე პაექრობაში როის საგზურისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტს ესპანელ ფერნანდო კარარესს შეხვდა და 15:14 გაიმარჯვა. მომდევნო პაექრობაში უკრაინელ ანდრი იაგოდკას მსგავსი ანგარიშით აჯობა, თუმცა, მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ ალექსეი იაკიმენკოსთან შეხვედრისას რამდენიმე შეცდომა დაუშვა და 13:15 დამარცხდა. საბოლოოდ სანდრომ მე-12 ადგილი დაიკავა და 12 სალიცენზიო ქულა დაიმსახურა. 23-წლამდელებში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორმა ბექა ბაზაძემაც გაახარა ქომაგები: ჯგუფში სამი მოფარიკავე დაჯაბნა - 31-ე ადგილსა და 6 სალიცენზიო ქულას დასჯერდა. მთავარი პრიზი იტალიელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ალდო მონტანომ მოიპოვა - ფინალში მან უნგრელი ოლიმპიური ჩემპიონი არონ ზილაგი დაამარცხა. მესამე ადგილებზე ტიბერო დოლინიკა (რუმინეთი) და ბენედიქტ ვაგნერი (გერმანია) გავიდნენ. მოხმალავეებს გაისად სამი მნიშვნელოვანი ტურნირი ელით: მსოფლიოს თასები იტალიასა (იანვარი) და პოლონეთში (თებერვალი), ხოლო გრან პრი - კორეაში (მარტი). მათი შედეგებით როის თამაშების 24 საგზურის მფლობელი გამოვლინდება, რვა ვაკანტური ადგილი კი სალიცენზიო შეჯიბრებაზე გათამაშდება.

ლაშა დიდა სურათში: სანდრო ბაზაძე.

საზონის ფინიში

იტალიაში წელი შეაჯამეს

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ სერია A-ს 2014-2015 წლების ბატალიები შეაჯამა, საუკეთესო ფეხბურთელები გამოავლინა და გასული სეზონის სიმბოლური ნაკრებიც შეადგინა. ნომინაციების აბსოლუტური უმრავლესობა ჩემპიონ ტურინის „იუვენტუსის“ ამჟამინდელმა ანაც ან უკვე ყოფილმა ფეხბურთელებმა მოიგეს. საუკეთესო 11 ფეხბურთელშიც 7 წარმომადგენელი სწორედ „ბებერ ქალბატონს“ ჰყავს.



საუკეთესო მეკარე კარიერაში მეთორმეტედ ლეგენდარული ჯანლუიჯი ბუფონი გახდა, ხოლო დაცვაში მისი თანაგუნდელები ვორჯო კიელინი, ლეონარდო ბონუჩი და დანიელე რუფანი გამოარჩიეს, თუმცა, ეს უკანასკნელი შარშან „ემპოლის“ ღირსებას იცავდა. რაც შეეხება მარჯვენა მცველს, ამ ნომინაციაში „ტორინოს“ ექს-ფეხბურთელმა, ახლა კი „მანჩესტერ იუნაიტედში“ მოთამაშე მატეო დარმიანიმ იმარჯვა. ნახევარმცველთაგანაც „იუვენს“ მოთამაშეები გამოირჩნენ, კერძოდ, პოლ პოგბა და ახლა უკვე „ნიუ-ასახელის ადგილი კი „რომას“ ბელგიელმა ლეგიონერმა რაჯა ნანგოლანმა შეავსო. შეტევაში კარლოს ტევესთან ერთად გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირები ლუკა ტონი და მურო იკარდი ალიარეს (ორივე მათგანმა 22-22 გოლი გაიტანა და „კაპოკანონიერს“ ტიტული გაიყვანს). საუკეთესო მწვრთნელად „იუვენტუსის“ თავკაცი მასიმილიანო ალევრის სცნეს.

რაც შეეხება ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელს, ასეთად არგენტინელი ტევესი დასახელდა, სერია B-ს იგივე ნომინაციაში „ბოლონიას“ მცველმა ადამ მაზინამ გაიმარჯვა, საუკეთესო ქალ ფეხბურთელად მელანია გაბაიანი („ნაპოლის“ შემტვე მანოლოს და) მიიჩნიეს, საუკეთესო მსაჯად კი - ნიკოლა რიცოლი.

გიორგი შოთაძე

ჩოგბურთი

მსოფლიო სტატისტიკა


ჩოგბურთი ქალ-ვაჟთა საერთაშორისო ასოციაციებმა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნეს. გაუწეებთ ქართველთა საკლასიფიკაციო მაჩვენებლებს: ძალბაი ერთულეები. 207 (208). სოფიო შაფათავა (249 ქულა), 383 (385). სოფიო ქეცაბაია (93), 384 (391). ეკატერინე გორგოძე (93), 467 (467). მარიამ ბოლქვაძე (63), 653 (653). ოქსანა კალაშნიკოვა (31), 773 (772). თინათინ ყავლაშვილი (20), 1094 (1101). თამარ ჭალაგანიძე (7), 1202 (1204). ანა შანიძე (4). წვეილები. 70 (70). კალაშნიკოვა (1080), 137 (137). შაფათავა (492), 159 (160). გორგოძე (417), 357 (355). ქეცაბაია (141), 673 (578). ბოლქვაძე (45), 779 (777). ყავლაშვილი (30), 113 (116). ახალკაცი (11), 113 (116). შანიძე (11), 1185 (1186). ჭალაგანიძე.



მაჟიაი 104 (104). ნიკოლოზ ბასილაშვილი (561), 314 (313). ალექსანდრე მეტრეველი (158), 892 (893). გიორგი ცივაძე (19), 1140 (1140). გიორგი ჯავახიშვილი (8), 1449 (1431). ალექსანდრე ბაქში (3), 2086 (2076). ირაკლი მეტრეველი (1). ბივი ბაგუა

ინტერნეტიდან

ჰელგა „ზენიტზე“ ეცემა



მთილი საფეხბურთო სამყარო ირბი მზერით შესტევის სახეტ-პეტეტურების „ზენიტის“ ბოლოდროინდელ დაშორებულ თამაშს, თავად ნევისპირელები კი მათი ქალაქის კლუბით ისე ამაყობენ, როგორც არასოდეს. „ზენიტზე“ შეყვარებულია შორისაა უკესკასესი მოდელი ჰელგა ლოვეკატი. ალბათ სედებით, რომ ჰელგა რუსი გოგონა და ლოვეკატი მისი ფსევდონიმია. ჰელგა არაფრის დიდებით არ ამხელს თავის ნამდვილ გვარს, მაგრამ გვარს რა ჭკუა აქვს? მთავარია თქვენ მის ტან-ფეხსა და მკერდის ციხლს შეხედეთ, თორემ დიდი მნიშვნელობა ნამდვილად არა აქვს, ივანოვა იქნება, პავლოვა თუ პოპოვა. მოკლედ, ეს ჩვენი ჰელგა უკა იძისა, ძალიან ვამაყობ, პეტერბურგელი რომ ვარ და ჩემს ქალაქს ასეთი კარგი გუნდი ჰყავსო. ლოვეკატი ასევე ამბობს - მე ჩვენზე შავ კუბოში და მე არ გავიხარო მთელს დუნიაზე, თუ „ზენიტს“ ოდესმე განვუდგე და სხვა კლუბისკენ გავიხედოო. ვაჰმეეე...

როსტომ რაჭველიშვილი

გზოგონის გზოგონი...


პოპოვიჩმა აღელვანს ბაღაანსკო



„სან ანტონიო სპურზის“ მთავარმა მწვრთნელმა გრეგ პოპოვიჩმა კარიერის განმავლობაში ნაპოპოვიჩი მოგებების მხრივ რიკ ადელმანის მიღწევა დააბნო. ტებსასურმა კლუბმა „იუტა ჯაზს“ 118:81 სძლია, რაც პოპოვიჩისთვის 1 043-ე გამარჯვება აღმოჩნდა. შედეგად, მან ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელთა შორის მე-8 ადგილზე აინაცვლა და ახლა გრეგის წინ ლარი ბრაუნი (1 098 მოგება) იმყოფება.

ვიტალი ჯაფარიძე

თუ არ ვიზამთ უფალი, სულ უფრო გაბვიჭირდება!



გურამ ჭავჭავაძე

„ღმერთო, თბილისს უმკაცრეს ეპისკოპოსად ანთხობ“

მკობრის ბატონი

გული შენს ტრფობას გაგათვლინე, რომ ვნების ტალღა გადამელახა, შენა ხარ ჩემი ეკატერინე, წინანდლის ვარდიც ჩემი შენა ხარ.

თავს მოკრძალება დავაძლევინე, მიტომ დავდივარ ასე მკვნესარი, შენა ხარ ჩემი ეკატერინე და სატანჯველიც ჩემი ეს არი.

* * *

გული მაქვს წრფელი, ფიქრები წმინდა, სული — ზეგარდმო შუქით ნაფერი, მე მხოლოდ შენი ღიმილი მინდა, სხვა არაფერი, სხვა არაფერი.

თბილისს

მჯერა „სიკვდილშიც არდავინყება“, უფალი ღმერთი მიდგას თავდებად, ჩემი სამშობლო შენით იწყება და არ მგონია, თუ გათავდება.

სად არ ვიარე, სად არ მანვიმდა, ვერსად ვერ ვნახე შენი სადარი, ან სად იქნება სხვაგან მთაწმინდა, ან სხვაგან სადმე „ლაღოს ჭადარი“.

ჩემი აკვანი აქ გადაირწა, აქ გადავცურე მტკვარი მხარულით, აქ ჩემი ტრფობა ლექსად გადიქცა, სიმღერად იქცა გრძნობა ფარული.

და როგორც სატრფოს ალისფერ ტუჩებს, ვერ შეველიე ვერც შენს განთიადს, ვეალერსები საყვარელ ქუჩებს, გულში ის ტრფობა ისევ ანთია.

ვაგლახ, ზღვა სისხლი დაგადენინეს, მაგრამ ვის შერჩა შენი წამება? „მინა ჭამს ყველა ჯალალედინებს“, მაგანთა უამიც რეკავს წამებად.

ჩემი ტრფობაც ხარ, თავდავინყებაც, უფალი ღმერთი მიდგას თავდებად, ჩემი სამშობლო შენით იწყება და არასოდეს არ გათავდება!

ვინს უგვიჩინა ღასაფიხარი

„სიტყვას ვიჭყვი, საბ ქსნილი ღაიწყოს“

ჩემო სამშობლო, ჩემო მთა-ველო, შენთვის რამდენი ცრემლი მდენია, მაგრამ სად არი სხვა საქართველო, სადაც არა სწამთ შოთას გენია?

უბედურებაც ჩვენი ის არი, ვინც შეგვიჩინა დასაფიცარი, ვერც შევარცხვინეთ, ვერც შევასმინეთ, არა და, ყველამ ვიცით, ვინც არი...

ყარაღები!

წინა მთავრობის ყარაღებს თუ შერჩათ, რაც იყარაღეს, ნუ გვიკვირს, ახალ ყარაღებს თუ შერჩათ, რაც იყარაღეს.

* * *

ბევრი ყარაღი თუა მდიდარი, სიკეთეც ბევრი იქნება? არავითარი, არავითარი, რაცა გვაქვს, ისიც გვიქრება.

ყველა მცდელობა იქნება ფუჭი, არ გათავდება ქართველთა გლოვა, თუ ამ ნაცბანდას ვერ გადავურჩით, თუ სამართალი დროზე არ მოვა...

აგობანი

ამბობენ, რომ სამართალი მოვა, მაგრამ როდის? ამბობენ, რომ მოდის, მაგრამ ღმერთმა იცის, მოდის?

ქართულ გენს

ალარც ცოტენა, ალარც თევდორე, ალარც ერეკლე, ალარც ილია, ქართული გენო, იმპლავრე, თორემ ლამის იმედი სულ დაიღია.

ასე არასდროს არ გვეშველება

ბედოვლათობა თუ გავაგრძელებთ, შავი თუ თეთრად მოგვეჩვენება, მარტო ენები თუ წავაგრძელებთ, ასე არასდროს არ გვეშველება.

ელეზირი

ავგაცობას არ ჰქონია ზღვარი, ნუთუ, ღმერთო, შენ ვერაფერს ხედავ? ისევე სისხლი, ისევე ცრემლის ღვარი, რა ცოდვა გვჭირს უთავები, ნეტა?

რატომ გლოვის არ გუგუნებს ზარი, ქარიშხლებიც რატომ დუმან, ნეტა? მხოლოდ მტკვარი, ცრემლით სავსე მტკვარი, ისე მოთქვამს, ვით შვილმკვდარი დედა.

* * *

როცა მთავრობა გონიერია, მაშინ ქვეყანა ღონიერია, როცა ავი და უკეთურია, მაშინ ქვეყანა უბედურია.

* * *

შეაგნებინე ქართველებს, ღმერთო, ვინა არი ჩვენი ნამდვილი მტერი, ნატოში შესვლა უაფხაზეთოდ ქვეყნის მტრობაა, სხვა — არაფერი.

„ქარგ ყვალ ვინა ვსთქვამთ, ვაქაბო“

ლაშა ნაღარაიშვილი

დრომ ყველას ნათლად აჩვენა, გონიც გიჭრის და კალამიც, „ღმერთმა გიკურთხოს მარჯვენა, მაღლა გეჭიროს ალამი“.

გულმართალსა და უბრალოს, ღირსება გშვენის თანაო, ჩემს საქართველოს უმრავლოს კაი ყმა შენისთანაო!

გაუმჯარო ჩინოსნებს!

თქვენზეა ზედგამოჭრილი ეს თქვენზე უთქვამს ვაჟასა, ეს თქვენ ხართ მუცლის მორჩილი, მოპაგვხართ კიდეც ფაშასა.

ვაი, „თქვენ, სადიაცნო, რო ძროხებივით სძლებითა, ღამე მაძღრები დასწვებით, დილით მშვირები სდგებითა.“

თავის ჯამს ჩასცქერთ, საქვეყნოდ არც როს არ გამასდგებითა, თავისად სცოცხლობთ, მცონარედ, ლეში ალაღოდ ჰკვებდითა.

უქმად ჩამაპლევთ სიცოცხლეს, უქმად საფლავში სწვებითა, არ იცით, დასწნდით რისადა, ან რისათვისა ჰკვებდითა!“

იქნებ აწყინოთ

იქნებ ეწყინოთ ზოგიერთ პირებს, მაგრამ სიმართლეს ვუსდი ხარაჯას, თავგანწირულებს, ცოტნებს დარ გმირებს დავეძებ, მაგრამ ერთიც არა ჩანს. „ვიდრე შემოვა მწუხრი ღამისა, ჩემო ხატებავ, ჩემო ღერწამო, მომეცი თაფლი, მხრებზე წავისვა და ცოტნესავით შენთვის ვწნამო!“

ფიქრია ჩინოსანს

საყვარელო ფიქრია, ეს რა გაგიფიქრია, პრეზიდენტის ფიქრები ხომ ისედაც მიჰქრიაან...

მართალს ვიჭვი

„მართალს ვიჭვი, შევიქნები ტყუილისა მოამბე რად? ვერას უქებ საძაგელთა, უფერულთა პირ-საფერად.“

გავსებულა ზღვისპირეთი თურქ-სომხებით, ყაზახებით, ზოგ-ზოგების ჩანაფიქრი ცხადი გახდა, გასაგები.

მიტომ არის, ალბათ, ჩვენში ყველა უცხო მისაღები, რომ ჩასახლდნენ ზღვისპირეთში „მოძმე სისხლის“ ყივჩაღები.

ალბათ, მიტომ იყიდება რკინიგზა და მდინარეთი, რომ დაამცრონ ქრისტეს რჯული, მოამრავლონ მინარეთი.

ასეთ დღეში საქართველო არასოდეს არ ყოფილა, ჩვენი ტურფა მთა და მდელო სათარეშოდ დაყოფილა.

არც კი არის დასაჯერი, მიტომ მიჭირს დასაჯერად, კაცი, თვითონ დასაჭერი, სხვებს რომ დასაჯერად.

„მე, თუ გინდა, თავიც მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად, ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად.“

არ გვეკადრება!

„თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ, კარგი შვილები რად გვებადება? ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლევ, არ გეკადრება, არ გეკადრება!“

ვაჟა-ფშაველა

ქველმოქმედება უთუოდ ნიჭია დიდად საქები, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ მზესაც კი აქვს ლაქები.

მსოფლიოს მხსნელად სტალინი გვახსოვს, მსოფლიომ იწამა, ყველას, ვინც სტყუის სტალინთან, შეუნდოს მშობელ მიწამა.

არ გვეკადრება ქართველი გენიის არდაფასება, პროფანაცია მგონია სტალინის გადაფასება.

„არდავინყება მოყვრისა“ ვით ადრე, ახლაც გვჭირდება, თუ არ ვინამეთ უფალი, სულ უფრო გაბვიჭირდება.

ნურც ვაჟა დაგვაგინყდება, გულქართლი, ენაზიანი, „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრისა“.

* * *

არ ვიცი, ვიტყვი, ვიცი, ვიცი, ჩვენს ყოფას რა უფრო შევინს, უკვე მერამდენე სირცხვილო, სად არის სინითლე შენი?

* * *

ეს გაუმარჯოს იმ ქართველს, იკურთხოს მისი სახელი, „ვისაც დღედაღამ ნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი“...

კრიზისალი

ამოღებულია უკანონო იარაღი და საბრძოლო მასალა

შს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამქებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1975 წელს დაბადებული სერგო ა. თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა, დაკავებულის ბინის ჩხრეკისას, „გალტერის“ სის-ტემის ბისტოლენტი და 107 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. ნარკოლოგიური შემთხვევით სერგო ა-ს ამფეტამინის და მეთამფეტამინის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.



„ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა შელსიკორი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაცვალა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის დეპარტამენტის დირექტორი

დავით ჭოჭუა

კლინიკა „შელსიკორი“ სამძიარს უცხადებს თვა ჭოჭუას და მის ოჯახს.

ინფორმაცია

ქიდეპართი პროლეტა

მელოპისტიკის

მანძინაზში, რომლებიც ექსპლუატაციაში 9 წელზე მეტ ხანს არიან, აქციონის გადასახადი იზრდება. ცვლილება საგადასახადო კოდექსში შედის. საკანონმდებლო ინიციატივა შს-ს ეკუთვნის და პარლამენტში უკვე ინიცირებულია. ცვლილებების თანახმად, 3-დან 6 წლამდე ავტომობილები შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმში ექცევა, ხოლო მნიშვნელოვნად იზრდება აქციონის გადასახადი 9 წელზე მეტი ასაკის ავტომობილებისთვის. გარდა ამისა, შეღავათიან რეჟიმში გადადის მოპედებისა და მოტოციკლების აქციონით დაბეგვრა. როგორც უწყებაში ამბობენ, ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა საკმაოდ დიდია და მილიონს აჭარბებს. ავტოპარკის ძირითად ნაწილს კი მეროადი ავტომობილები წარმოადგენს, რომლებიც ტექნიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

რეკლამა

293-37-87

მარაგლის ქ. №7.

განცხადება

მიმდინარეობს თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის მეპაიების ხელახალი რეგისტრაცია. გთხოვთ, გაიართო რეგისტრაცია მისამართზე: ქ. თბილისი, იუმაშევის 51. ტ. 2729904. ბოლო ვადა 30 დეკემბრამდე.

კოოპერატივის ბაგბეზა

მკვლევარები

გუბილოვას თესავენ და სიცოცხლეს გვიხანგრძლივებენ



შპსმრბი კეთილი საქმის შემოქმედია საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისათვის“ (ხელმძღვანელი მბიბ კვიციანი-ლიპიძე). ეს ყველაფერი ქალის, დედის სვალინდელ ბედნიერ დღეს უკავშირდება, რადგან მუქი შესაძლებლობა მიეცეთ მათ, იმედიანად შეხედონ ცხოვრებას.

ნიზაცია ნამდვილად დგას ადამიანთა სიცოცხლისა და მშვიდობის სადარაჯოზე. სულ მოკლე ხანში შეიძლება სამი მნიშვნელოვანი აქცია მოეწყოს მისი გულისხმიერი ხელმძღვანელის წყალობით ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ იმ ადამიანთა მიმართ, რომელთაც უჭირთ გადაადგილება და ეკონომიური მდგომარეობის გამო თანადგომა ესაჭიროებათ. სწორედ

ამ ორგანიზაციის ინიციატივით, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი 67 ოჯახი ტანსაცმლით მომარაგდა. ეტლეები გადაეცათ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს. საკვები პროდუქტი „ჰუმანა“ ურიგდება ყოველთვიურად სოციალურად დაუცველ ბავშვებს. ასეთი ქველმოქმედებისთვის, მიიღო განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისათვის“ ხელმძღვანელის მაია კვიციანი-ლიპიძის და მისი კოლეგების მიმართ. გენამს, აღნიშნული ასოციაცია კვლავ მრავალ საქველმოქმედო აქციას განახორციელებს არა მარტო ხარაგაულის, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით. დაე, ნურასოდეს განვლებოდეთ ადამიანთა თანადგომისა და მათთვის ბედნიერების მინიჭების სურვილი!

მანანა ბარბაქაძე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ადამიანის ორგანოები

ყურები სიფრებსა და ფაქტებს

ყურები — ეს რთული წყვილი ორგანოა, რომლის დაზიანებაც ხმის რეცეპტის აღქმას იწვევს. არიან პასუხისმგებლები სხეულის მდგომარეობაზე სივრცეში და უნარზე — დაიცვან წონასწორობა. ყველაზე მგრძობიარე სმენა აქვთ პატარა ბავშვებს. დაბადების დროს ადამიანის ყურს შეუძლია მოისმინოს ყველაზე დაბალი ხმა 20 ჰერცში და ყველაზე მაღალი — 20 000 ჰერცში. ანატომიურად ყური 3 ნაწილად იყოფა: გარეთა, საშუალო და შინაგანი ყური. ადამიანის გარეთა ყური შედგება ყურის ნიჟარისაგან და გარეთა სასმენი გასასვლელისგან. ყურის ნიჟარის ფუნქცია — დაიჭიროს ხმები. 25-30 მილიმეტრი — გარეთა ხმის გასასვლელის საშუალო სიგრძეა. 1 კუბური სანტიმეტრი — ბარბანის სივრცის მოცულობა — არის პატარა სივრცე საფეთქლის ძვალში, რომელიც საშუალო ყურ-



რის ძირითადი ნაწილია. აქ გადამოიცემა ხმის რყევები გარეთა ყურიდან შინაგანში. შინაგანი ყური — ყველაზე რთულია, ძნელსაცნაური ფორმის გამო მას ლაბირინთს უწოდებენ. 700-ჯერ ზრდის ყურში ბაქტერიების რაოდენობას მუსიკის მოსმენა ყურსასმენების მეშვეობით. ადამიანების 10 პროცენტს ყურის უკანა მხარეზე აქვს დარვინის ბორცვი — რუდიმენტული წარმონაქმნი, რომელიც შემორჩა იმ დროიდან, როდესაც ადამიანის წინაპრებს ყურები

მასვილი ჰქონდათ. ყურებს შეუძლიათ თვითგასუფთავება. პატარა ბუნებებს ყურის შესასვლელში გამოაქვთ ყურიდან ყურის გოგირდი. 5-დან 8 სანტიმეტრამდე — ასეთია მოზრდილი ადამიანის ყურების მოცულობა. რაც უფრო ცივია კლიმატი, მით ნაკლებია ადგილობრივ მცხოვრებთა ყურები. ეს ხდება იმის გამო, რომ ყურები გამოყოფენ სითბოს, რომლის შენარჩუნებასაც ცდილობს ორგანიზმი. კანი ყურს უკან პირდაპირა დაკავშირებული სასქესო ორგანოებთან — ნერვიულ დაბოლოებათა რთული ქსელის გავლით. წყალს, რომელიც ყურში აღმოჩნდა, შეუძლია სმენის დაკარგვასთან მიგვიყვანოს. ეს ყველაზე ხშირად მოსდით ბავშვებს და შეიძლება ოტიტი გამოიწვიოს. მისი მორჩენა ადვილია, მაგრამ უგულვებელყოფა არ შეიძლება. ოპერაციას ყურის ფორმის შესაცვლელად ოტოპლასტიკას უწოდებენ. სამი-ხუთი ადამიანიდან 60 და მეტი წლის ასაკში კარგავს სმენას. მათ 40 პროცენტს კი სჭირდებათ სმენითი აპარატი.

ცინცხალი ანეკდოტები

მთელი კვირა მინუს ოცი, მინუს ოცდახუთი იყო. მერე კი ცინცამ მოუჭირა. * * * — თუ გრძობ მაინც, რომ შენ ახლა ჩემზე ძალადობ? — ჰო-ო-ო... — ნუ შეჩერდები! * * * მღვდელი იარაღის მაღაზიაში პისტოლეტს ირჩევს. — მაშაო, ბიბლიაში ხომ წერია, არა კაც ჰკლავო?.. — ეუბნება მას გამყიდველი. — მე არც ვკლავ, ფენებში ვესვრი! * * * ს ა მ ს რ ე თ ი უელსი. ზაფხული.

მინდორში ძროხა ბალახობს. გვერდით ჯენტლმენმა ჩაიარა. — დილა მშვიდობისა, სერ, — ესალმება ძროხა. — რაო? შეუძლებელია ლაპარაკი შეგიძლიათ? — რა თქმა უნდა. მე და ჩემმა პატრონმა ერთად დაგამთავრეთ ოქსფორდი. — სად არის თქვენი პატრონი? — ეგერ ზის, — ჩრდილში მჯდომარე მწვემისკენ გაიქნია თავი ძროხამ. ჯენტლმენი მწვემისკენ მირბის. — სერ, ეს ძროხა თქვენია? — ჩემია. — მართალია, რომ მასთან ერთად დაამთავრეთ ოქსფორდი? — ტყუის ის ოხერი მე არაფერიც არ დამიმთავრებია!

Advertisement for Sakartvelos Respublika magazine, featuring contact information, ISSN, and subscription details.

ყურადღება!

2015 წლის 18 დეკემბერს (პარასკევს) 15 საათზე გაიმართება საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მორიგი სხდომა, რომელზეც მოხსენებით გამოვა ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი გურამ ჯოლია

ინფორმაცია

პარტოველი გარდის სიმღერები ეროვნულ არქივში ცნობილი ქართველი კომპოზიტორისა და მომღერლის ოთარ რამიშვილის სიმღერების ჩანაწერების ორიგინალები ეროვნულ არქივში შეინახება. ოთარ რამიშვილის ვაჟმა მიშა რამიშვილმა არქივს გადასცა 70-90-იან წლებში 12 მაგნიტურ ფირზე ჩანწერილი 160-მდე სიმღერის ორიგინალი ჩანაწერი. სიმღერებს შორის არის: „ფუტკარი“, „თბილისო“, „ბუღბუღის სტენა“, „მითხარ რად ხარ მონყენილი“, „მარტის თვეა შენი“ და სხვა. „სამომავლოდ ვაპირებ, მამაჩემის მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა მასალაც ეროვნულ არქივს გადავცე, აქ დოკუმენტებს სათანადო პირობებში ინახავენ და უფლიან“, — განაცხადა მიშა რამიშვილმა. ოთარ რამიშვილის სიმღერის ჩანაწერები, მისი ოჯახის თანხმობით, ხელმისაწვდომი იქნება მკვლევართათვის.



Advertisement for 'საქართველოს რესპუბლიკაში' magazine, issue No. 7, with contact number 293-37-87.

კადრი

